ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2024 წლის 11 მარტი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/05/2019, 280010000.35.137.016451), კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბენეფიციარს, რომელიც არის ონკოლოგიური ავადმყოფი, მასზე სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურება გაიცეს კალენდარული წლის პერიოდში ორჯერადად 70%-ით.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბენეფიციარს, რომელსაც ესაჭიროება ორთოპედიული ენდოპროთეზირება (მენჯ-ბარძაყის სახსარი), დაუფინანსდებათ ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 7000 (შვიდი ათასი) ლარისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**